განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მერი ქვრივიშვილი
წევრი:
გიორგი უღრელიძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N171 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204889219

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, ძოწენიძის ქ.N 3
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://bit.ly/49leCUe
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi171@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	2-31 60 51

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000456475; 21/04/2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 21 აპრილს ექსპერტთა ჯგუფს (დოკუმენტების შესწავლით) დაგვევალა სსიპ - ქალაქ თბილისის N171 საჯარო სკოლის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „დ" პუნქტის „დ.ა", „დ.ბ" ქვეპუნქტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება (გეგმური მონიტორინგი).
დოკუმენტების წარდგენის შემდგომ სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები. მტკიცებულებების სრულად მიღების შემდგომ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა.
საბოლოოდ ექსპერტთა ჯგუფმა წაროდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეაფასა ზემოხსენებული პუნქტების შესაბამისობა სტანდარტებთან მიმართებით და შედგა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1200	673

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და**

სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას ახორციელებს რამდენიმე შიდა რეგულაციით:

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ“. დოკუმნეტი დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა თუ რეალიზაციის წესებს, იგი ეფუძნება საქართველოს ზოგადი განათლების კანონმდებლობას და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს. დოკუმნეტის შესრულებაზე სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირი;
- სკოლას აქვს „განცხადებისა და გასაჩივრების წესი“. წესი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა განცხადებისა და გასაჩივრების ვადები, პირობები და გარანტიების უზრუნველყოფა;
- სკოლაში ასევე ფუნქციონირებს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“, რომლის თანახმად სკოლაში შესაძლებელი ხდება ინიციატივების დაფიქსირება და მხარდაჭერის ხელშეწყობა;
- სკოლაში ასევე ფუნქციონირებს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“. წესში განმარტებულია ტერმინები, მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის წესი და მნიშვნელოვანი ფაქტორები, ასევე პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის დეტალები. ჩამოთვლილია წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები;

- წარმოდგენილი „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშურებული შიდა ინსტრუქცია (რეფეირების წესი)“ არეგულირებს ბვშთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული რეაგირების ნაბიჯების ზუსტ და მკაფიო სისტემას;
- დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები და ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- შინაგანაწესში ასევე იკითხება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.
- სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“. პოლიტიკის სწორი რეალიზების მიზნით ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას კანნონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის მიერ უფლებების დაცვის ფუნდამენტური რეგულაციის მიზნით წარმოდგენილია „ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ“, რომლის თანახმად განსაზღვრულია:

- თავი II- მოსწავლის უფლება-მოვალეობები ჩამოთვლილია უფლებები, რომელიც მოსწავლემ შეიძლება მოითხოვოს: ღირსეული მოპყრობის უფლება, აზრის გამოთქმის უფლება, დისკრიმინაციისა და ბულინგის აკრძალვა, მისი პერსონალური მონაცემების დაცულობა, რწმენის თავისუფლება, ხარისხიანი განათლების მიღების, უსაფრთხო გარემოში სწავლების და სხვა უფლებები;
- თავიIII - განმარტებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოვალეობაა სკოლის ადმინისტრაციას მოსთხოვოს და ყურადღებით გაეცნოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტს. ამასთან, დაიცვას დოკუმენტით გათვალისწინებული წესი, პირობები, გასაჩივრების პროცედურები და გასაჩივრების ეტაპები;
- თავი IV - გათვალისწინებულია სკოლის ფუნქცია-მოვალეობები. მითითებულია, რომ სკოლა ცნობს და იცავს ბავშთა

საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას და თავისუფლებას. ამ თავის თანახმად, სკოლის მიერ მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას დაცული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

- თავი V - განმარტებულია სკოლის დირექტორის, მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. ასევე სახელმწიფოს ფუნქცია-მოვალეობები ზოგადი განათლების სფეროში, ასევე საზღვარგარეთის პრაქტიკა მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში ასევე ფუნქციონირებს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, "საჩივრის განხილვის პროცედურები" და „შინაგანაწესი".დოკუმენტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი გაცნობა.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება -მოვალეობები (სკოლის უფლებები, სკოლის ვალდებულებები, მშობლის/წარმომადგენლის ვალდებულებები და უფლებები, მოსწავლის უფლებამოსილებები და ვალდებულებები). ასევე მითითებულია სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეების შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულების მუხლი 10- პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ რეგულაციებს აღწერს. ხელშეკრულებაში ასევე გაწერილია სკოლის ვალდებულებები მოსწავლისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სასწავლო პროცესში ჩასართავად, სასწავლო რესურსებითა და ინვენტარით უზრუნველსაყოფად. სკოლა ვალდებულია იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს- დაიცვას სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები და მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე აქტიული კავშირი იქონიოს სკოლის კლასის დამრიგებელთან და სკოლის დირექციასთან. სკოლას უფლება აქვს მოსთხოვოს მშობელს შეასრულოს წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მშობელს/კანონიერ წაერმომადგენელს კი უფლება აქვს მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა. მოსწავლე უფლებამოსილია მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება და ვალდებულია იყოს

თავაზიანი მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთა მიმართ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ფორს-მაჟორიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ (ბრძანება N 2-246; 18.09.2023წ.);
- ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის;
- „ადაპტაციის წესი“ (ბრძანება N 2-40; 26.04.2026წ.);
- „განცხადების გასჩივრების წესი“ (ბრძანება N 2-41; 24.04.2026 წ.);
- ინკლუზიური განათლების მასალები;
- „პერსონალურ მონაცემთა პოლიტიკა „(ბრძანება N 1/კ 16; 17. 02. 2026წ.);
- „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“ (რეფერირების წესი)(ბრძანება N 2-33; 25.03.2026წ.);
- თვითმმართველობის ანგარიში;
- „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“ (ბრძანება N 2-37; 25.03.2026წ.)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა „სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთი მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი“, წესი განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს, მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე. აღნიშნული რეგულაცია ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. წესში დეტალურადაა განსაზღვრულია როგორ ხდება მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება და შეჩერებული სტატუსის აღდგენა, განმარტებულია მოსწავლეთა მობილობის წესი, მობილობის დაუშვებლობისა და მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები. განმარტებულია მოსწავლის კლასიდან კლასში, პარალელურ კლასებში გადაყვანისა და ამორიცხვის საკითხები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის და მობილობის შესახებ ბრძანებები. დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შესწავლით დადასტურდა, რომ სტატუსის ცვლილება, მობილობა და ამორიცხვა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დოკუმენტური ფიქსაციით. პროცესი გამჭვირვალეა და რეგისტრირდება შესაბამის წარმოებაში. რეგულაციები სრულად მოქმედებს პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას აქვს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. კერძოდ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეების -ფრენბურთი, კალათბურთი, ქართული ცეკვა მომსახურებას საიჯარო ურთიერთობების ფარგლებში. სკოლის

შინაგანაწესი და პროგრამების სახეობები ხელმისაწვდომია ოფიციალურ არხებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის შიდა და გარე კომუნიკაცია ეფუძნება გამჭვირვალობას და თანასწორობის პრინციპს. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც შიდა ჯგუფებში (სოციალური ქსელი, შეხვედრები), ისე მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში. სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია აქტიურად აწვდიან განახლებულ ინფორმაციას პერსონალს და საზოგადოებას განათლების სიახლეებისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლეის ჩარიცხვის წესი“(ბრძანებაN 2-95; 22.13.2023 წ.);
- კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება (N 2-121, 20.13.2025 წ.);
- საფეხურის დაძლევის ბრძანება (ბრძანება N 2-79; 20.05.2025 წ);
- სკოლის ვებგვერდი- http://bit.ly/49leCUe

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დოკუმენტის „მოსწავლეთა ადაბტაციის წესის" საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული და დოკუმენტურად განსაზღვრული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის სწრაფ და ჰარმონიულ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

მექანიზმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები;
- პირველკლასელთა ადაპტაცია;
- სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია;
- მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია;
- მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე;
- წარმატებული ადაპტაციის ნიშნები;
- რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას;
- დეზადაპტაციის ნიშნები;
- დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები

დოკუმენტი პრაქტიკაში გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის და უკუკავშირით დასტურდება მისი ეფექტურობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის ადამპტაციის წესი“ დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ადაპტაციაზე ზრუნვა სწავლის დეზადაპტაციის პროცესისას მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია მასწავლებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის პროცესი, რასაც უნდა მოყვეს მშობლის დაუყოვნებლივი შეტყობინება და პროცესში ჩართვა. ადაპტაციის პროცესში შესაძლებელია ჩართულ იქნას სკოლის ფსიქოლოგი. ფსიქოლოგმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გამართოს გასაუბრება როგორც ინდივიდუალურად მოსწავლესთან, ისე დამრიგებლის თანდასწრებით მშობელთან. ასევე, ფსიქოლოგმა კლასთან გარკვეული აქტივობის ჩატარების გზით უნდა სცადოს მოსწავლეების დაახლოება. დოკუმენტის მიხედვით აუცილებელია, სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში ხელი შეეწყოს მოსწავლეს, ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“ რომლის თანახმადაც ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება ინიციატივა დააყენოს, როგორც კლასის დამრიგებელთან ასევე ადმინისტრაციასთან და თვითმართველობის წევრებთან. აღნინული ინიციატივა მხარდაჭერილი და განხილული იქნება შესაბამის სეგმენტთან. სკოლა უზრუნველყოფს ინიციატივების მხარდაჭერას ფინანსური და ადმინსტრაციული რესურსების შესაძლებლობების ფარგლებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების დროულ ინფორმირებას სკოლაში დაგეგმილი, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. ამასთან, სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

დოკუმენტაციის ანალიზით ასევე დადგინდა, რომ ადმინისტრაცია ახდენს მოსწავლეთა მოთხოვნებზე დროულ რეაგირებას:

- შინსწავლებისა და ექსტერნატის განაცხადებზე პასუხი გაიცემა კანონით დადგენილ ვადებში;
- მობილობისა და სტატუსის ცვლილება რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებით;
- წერილობითი განცხადებების განხილვა და მშობელთან კომუნიკაცია მიმდინარეობს გამჭვირვალე წესით.

ადმინისტრაციული მხარდაჭერა სწრაფი და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

წარმოადგენილი „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესის“, თანახმად სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის თვითმმართველობის მოქმედი რგოლის ინიციატივები მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. ასევე, დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პედაგოგები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს, ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, გამოფენებს. მრავალფეროვანია სადამრიგებლო აქტივობები, წახალისებულია მოსწავლეთა ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობა. ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერა ხორციელდება ექსტერნის გამოცდების წინ კონსულტაციების გზით და რემედიაციის პროგრამის განხორციელებით.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად გეგმავს დამატებით მომსახურებებს და არაფორმალურ აქტივობებს. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს ორგანიზებული სისტემა სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გამორკვევისა და შესაბამისად მათი ინტერესების სასკოლო ცხოვრებაში ასახვის. მონაცემების მოსაგროვებლად სკოლა იყენებს სხვადსხვა საშუალებებს, როგორიცაა:

- დაკვირვება;
- ინდივიდუალური გასაუბრებები;
- მონაცემთა ანალიზი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრები;
- საკლასო მშობელთა შეკრებები მოსაზრებების გასაზიარებლად;
- სამსახურეობრივი ბარათი მოსწავლის ადაპტაციის შესახებ;
- კლასის დამრიგებელთა უკუკავშრი ადმინისტრაციასთან მოსწავლეთა ინიციატივების/საჭიროებების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“ (ბრძანება № 2-37; 2026 წლის 25 მარტი);

- „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის (ბრძანება № 2-40; 2026 წლის 24 აპრილი);
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- 2025-2025 სასწავლო წლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის შესახებ ანგარიში.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული ფუნქცია ეფექტიანად სრულდება ადმინისტრაციისა და დამრიგებელთა თანამშრომლობით. სადამრიგებლო პროგრამის გაცნობით ირკვევა, რომ მოსწავლეებს საუნივერსიტეტო კოლეჯების პროგრამების გაცნობამ და ღია კარის დღეებზე დასწრების ორგანიზებამ შესაძლებლობა მისცა, გაცნობოდნენ სხვადასხვა პროფესიების სპეციფიკას და კოლეჯების სასწავლო პროგრამებს. ამ მიზნით სკოლას ესტუმრნენ პროფესიული სასწავლო კოლეჯი „იკაროსის“ და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლები. მათ მოსწავლებს აუხსნეს და აჩვენეს, რომ პროფორიენტაციის ძირითადი პირობაა ყველამ შეძლოს უნარებისა და შესაძლებლობების გამომჟღავნება, დადებითი პიროვნული თვისებების განვითარება და შესატყვისი ადგილის პოვნა ცხოვრებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში. ასევე სკოლა უზრუნველყოფს კარიერული ინფორმაციის გავრცელებას როგორც მოსწავლეებს შორის, ისე მათ მშობლებთან. დამრიგებლები ახორციელებენ საკლასო დისკუსიებს განათლებისა და პროფესიის არჩევის თემაზე, აცნობენ პროფესიებს, კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიღების პირობებს. ასევე სხვადასხვა სასწავლებლების წარმომადგენლები სტუმრობენ სკოლას და თავად აცნობენ ჩარიცხვის პირობებსა და სპეციფიკას. საკარიერო ინფორმაციის კომუნიკაცია ხდება პირისპირ შეხვედრებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იყოს მუდმივ განათლებაზე ორიენტირებული, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებული, შედეგზე ფოკუსირებული სასწავლო პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალიზებული შეფასების ინსტრუმენტები (მაგ., სტანდარტიზებული კითხვარი ან შეფასების ცხრილი) არ არის წარმოდგენილი, დოკუმენტების შესწავლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს უკუკავშირის სისტემა - მოსწავლეთა, მშობლებისა და დამრიგებლებისგან მიღებული ინფორმაცია მუშავდება და მომავლის ტენდენციების პერსპექტივას ქმნის. მიღებული უკუკავშირი განიხილება კოლეგიალურ დონეზე და გამოიყენება მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკითხება, რომ ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. გეგმაში ასევე დეტალურადაა გაწერილია ყველა საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე ვხვდებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მასწავლებლების მიერ. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი. ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის შიდა მონიტორინგის აქტის მიხედვით სკოლაში 15 სსსმ მოსწავლე ირიცხება. ისგ ჯგუფი აქტიურად მუშაობს სსსმ მოსწავლეთა ჩართულობაზე სასწავლო პროცესში. ხდება გეგმიური შეხვედრები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეფასება და შედეგებისა თუ სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზომვა (საჭიროების შემღხვევაში ცვლილებების შეტანა). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ-ის შეხვედრების ოქმები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა(ბრძანება №2-34; 25 მარტი 2026წელი);
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეების (ფრენბურთი, კალათბურთი, ქართული ცეკვა) მომსახურებას საიჯარო ურთიერთობების ფარგლებში. გარდა ამისა, გასვლით ღონისძიებებს, ექსკურსიებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სატრანსპორტო მომსახურებები კანონით დადგენლი ფორმით. რაც შეეხება მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამას, სკოლა არ არის ჩართული ასეთ პროგრამაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას აქტიურად ამუშავებს ვებ. გვერდს, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო სერვისებთან დაკავშირებით. ამასთანავე, კლასის დამრიგებლები ახდენენ მშობელთა ინფორმირებას მშობელთა კრებებზე. ნებისმიერ მსურველს აქვს უფლება და შესაძლებლობა ჩაერთონ სკოლის მიერ შეთავაზებულ სერვისებში. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის გაცემის ხელშეკრულებები;

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი- http://bit.ly/49leCUe

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი : 01.6.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: